სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 21 0000042155

29/01/2021

„პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების (უკანასკნელი ცვლილებები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილება) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. 2020 წლის ,,პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“ სტუ-ს რექტორის 2020 წლის 2 დეკემბრის MES 2 20 0001145905 ბრძანებაში შეტანილი იქნას ცვლილება და მისი პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება ქ. თბილისში, სასწავლო პროცესი 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 1 მარტამდე წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში: „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“, „საოფისე საქმე“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექატრონიკა“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ჰაერის კონდიცირება“, ,,სამკერვალო წარმოება", ,,ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება", „სამრეწველო ავტომატიზაცია“, „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“;

„2. სასწავლო პროგრამების მოდულების სპეციფიკიდან გამომდინარე სადაც შეუძლებელია დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის განხორციელება, შესაბამისად ამ ბრძანების

პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა სასწავლო პროცესი შეჩერდეს ყველა დანარჩენ პროფესიულ პროგრამაზე, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის 1 მარტამდე.“

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).

3. ბრძანება, საჯარო გაცნობისათვის, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.N64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე